

<p><b>Erasmus+ CBHE</b> ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი/გრანტის მიმღები უნივერსიტეტი</p>	<p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
<p><u>პროექტის სახელწოდება</u> <u>მთავარი მიზანი</u></p>	<p><u>აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)</u></p> <p><b>მთავარი მიზანი:</b> პროექტის მთავარი მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის განვითარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. პროექტი მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.</p>
<p><u>პროექტის აქტივობები და შედეგები</u></p>	<p><b>პროექტის მთავარი აქტივობებია:</b></p> <p>პლაგიატის პრევენცია და შესაბამისი ელექტრონული პროგრამის იმპლემენტაცია ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: პლაგიატის შემთხვევების გამოვლენისა და პრევენციის ინსტრუმენტის დანერგვა ქართულ უნივერსიტეტებში (პროგრამის – Turnitin ინტეგრირება არსებულ ელექტრონული სწავლების პორტალში – Moodle).</p> <p>თანმიმდევრული PR კამპანიის ღონისძიებების ორგანიზება პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ქართულ უნივერსიტეტებში: PR კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც გათვლილია როგორც სტუდენტებზე, ასევე აკადემიურ პერსონალზე.</p> <p>ეფექტური შეფასებისა და უკუკავშირის მიწოდების მიმართულებით ტრენინგ მოდულების შემუშავება აკადემიური პერსონალისთვის, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტების წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მხრივ.</p> <p>სტუდენტური სერვისების გაძლიერება და აკადემიური წერის მიმართულებით ინდივიდუალური სერვისების/კონსულტაციების (tutoring) შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა წერითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას აკადემიური</p>

	<p>კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.</p> <p><b>აკადემიური წერის კურიკულუმის გადახედვა და განახლება:</b>          პროექტში ჩართული ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გადახედავენ და განახლებენ არსებულ აკადემიური წერის კურიკულუმს სწავლების სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) შემუშავებულ წერიითი კომუნიკაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.</p> <p><b>პლაგიატის საუნივერსიტეტო პოლიტიკა და რესურსები:</b> პროექტი დაეხმარება ქართულ უნივერსიტეტებს ჩამოაყალიბონ პოლიტიკისა და რეგულაციების ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას აკადემიური კეთილსინდისიერების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტი დაეხმარება უნივერსიტეტებს განავითარონ საკუთარი რესურსები (მაგ. გზამკვლევი) და დანერგონ ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმები, როგორცაა პროგრამა Turnitin და ელ. სწავლების პორტალი Moodle – პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის და უკუკავშირის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პროცესების უკეთ წარმართვას.</p>
<p><b>პროექტის ტიპი</b></p>	<p><b>ერთგუნული სტრუქტურული ღონისძიების პროექტი</b></p>
<p><b>ევროპელი პარტნიორები</b></p>	<p>როეჰემპტონის უნივერსიტეტი (University of Reohampton, ინგლისი)          უფსალას უნივერსიტეტი (University of Uppsala, შვედეთი)          ვენის უნივერსიტეტი (University of Vienna, ავსტრია)          დუბლინის უნივერსიტეტი (Dublin City University, ირლანდია)</p>
<p><b>ქართველი პარტნიორი უნივერსიტეტები: 12 უნივერსიტეტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (კოორდინატორი)</li> <li>2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</li> <li>3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</li> <li>4. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი</li> <li>5. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია</li> <li>6. შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი</li> <li>7. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი</li> <li>8. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი</li> <li>9. კავკასიის უნივერსიტეტი</li> <li>10. საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი</li> <li>11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია</li> <li>12. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი</li> </ol>
<p><b>სამთავრობო და ასოცირებული პარტნიორები</b></p>	<p>1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (მთავარი პარტნიორი სტრუქტურული ღონისძიების მიმართულებით)</p>

	2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (ასოცირებული პარტნიორი)
პროექტის ბიუჯეტი:	<u>856,834 ევრო</u>